13.02.2001 88

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ.: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: 99532 98 71 14

CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

Tbilisi 380005, King Erekle II sq. 1
Tel.:99 03 78, 98 95 41 FAX: 99532 98 71 14

№ 18

11 თებერვალი, 2001 წელი

ა ს ლ ი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ ზურაბ ჟვანიას,
საქართველოს პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარეებს,
საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებს,
საქართველოს პარლამენტის წევრებს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო ზურაბ,
ბატონებო და ქალბატონებო

ყველას გულითადად მოგესალმებით და კიდევ ერთხელ გილოცავთ მესამე ათასწლეულის დაწყებას და XXI საუკუნის პირველი სესიის გახსნას. უფალმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და მოგცეთ ძალა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ მრავალ კეთილ ღვთისსათნო საქმეთა აღსასრულებლად.

სიმბოლურია და მნიშვნელოვანი, რომ სწორედ პირველ სესიაზე უნდა გადაწყდეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების სახით სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრის საკითხი, რომელიც პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, დამუშავებული და მიღებული პარლამენტის ინტერფრაქციული კომისიის და ასევე პარლამენტის ყველა პოლიტიკური ძალის ანუ ფრაქციის მიერ.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციურ შეთანხმებას ეხარი დაუჭირეს სხვა და სხვა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მოსახლეობის ფართო მასებმა, საქართველოში არსებულმა მსოფლიოს ყველა ტრადიციულმა რელიგიამ.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმების დადება არის არა მარტო ეკლესიისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის, როგორც სამართლებრივი განვითარებული სახელმწიფოს, აღმშენებლობისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ყველას მადლობას გიხდით გაწეული შრომისა და თანადგომისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

+ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი